# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ბრძანება №01-08/613

ქ. ბათუმი 24-აგვისტო, 2023 წ.

**ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობის" (მე-4 დონე) ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2023 წლის 27 ივლისის N934271 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობის" (მე-4 დონე) იმ პროფესიული სტუდენტების სია, რომლებმაც ვერ მიაღწიეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2023 წლის 27 ივლისის N934271 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს ,,მებაღეობის" (მე-4 დონე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროფესიული სტუდენტების ***(დანართი №1)*** მიმართ, რომლებმაც ვერ მიაღწიეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს.

2. დაინტერესებულ პირებს ***(დანართი №1)*** ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ 3 დღის ვადაში წარმოადგინონ ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით.

3. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2023 წლის 28 აგვიტოს შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს

საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ასევე განთავსდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეში.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

**რექტორი, პროფესორი** **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობის“ (მე-4 დონე) ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ”

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს №01-08/613 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მებაღეობის“ (მე-4 დონე) პროფესიულ სტუდენტთა სია, რომლებმაც ვერ მიაღწიეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს

| N | სახელი და გვარი | პირადი N | ჩარიცხვის ბრძანების N და თარიღი ხელშეკრულების N და თარიღი | მისამართი |
|---|---|---|---|---|
| 1 | დიანა ბასილაძე | | ბრძ. 01-08/573, 08.10.2021; ხელშეკრულება N 20-04/22, 05.10.2021 | მახინჯაური, ჯინჭარაძის N 105 |
| 2 | გალინა ბერიშვილი | | ბრძ. 01-08/573, 08.10.2021; ხელშეკრულება N 20-04/17, 07.10.2021 | ქ. ბათუმი, ახალგაზრდობის ქ. N 1 |
| 3 | ნინო ჯაბნიძე | | ბრძ. 01-08/573, 08.10.2021; ხელშეკრულება N 20-04/18, 07.10.2021 | ქ. ბათუმი, ახალგაზრდობის ქ. N 14 |